№ 60 მარტი 19, სამშაბათი 1891 მარტი 19, სამშაბათი № 60

# ივერია


გაზეთი ღირს

| თუვე | მან. კ. | თუვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანკოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891



## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სააღგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

**ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:**

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ჯეჯილი“

გამოვა 1891 წელსაც, ორ თვეში ერთხელ, იმავე პროგრამ-ით, როგორც ამ წელს.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება—3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა მიიღება.

1) ტ ფ ი ლ ი ს შ ი — „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Барятинская ул., д. № 8)

2) ქ უ თ ა ი ს შ ი — ეკ. ნიკოლაძისას.

3) გ ო რ შ ი — ეკ ფურცელაძისას

4) ბ ა თ უ მ შ ი — მ. ნიკოლაძის საავეტოში.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილისა.

სათავად აზნაურო ბანკის თეატრში

სამშაბათს, 19 მარტს

წარმოდგენილი იქნება

## ჩემი ქუზინა

კომედია 3 მოქმედ., თხზ. მელიაკისა. რიკეტტას როლს შეასრულებს ქ-ნი ქუდიკი

დასაწყისი, 8 საათზედ

ამ ახლო ხანებში იქნება ბენეფისი ქ-ნ ანნა ქუდიკისა. მსურველთ ეხლავე შეუძლიანთ ბილეთების ყიდვა.


## ახალი ამბავი

*** გუშინ ორშაბადს დანიშნული იყო, რომ ბანკის თეატრის იჯარით აღების მსურველნი უნდა შეყრილიყვნენ სათავად-აზნაურო ბანკში და იჯარის პირობების უკეთესობით ერთმანეთს შესცილებოდნენ. ხუთ მსურველთა შორის გამოსცხადნენ მარტო ორნი: ბ-ნი კრემლიოვი და ბ-ნი ფორკატტი. ბ-ნმა კრემლიოვმა შეცილებაზე პირველშივე უარი სთქვა და ამიტომაც არც ბეთ დანიშნულ ფულს წარმოუადგენო: ამის თქმის შემდეგ ადგა და გავიდა.—ბ-ნმა ფორკატტიმ წარმოადგინა რა ბეთ დანიშნული ფული, სთქვა, რომ შეუძლებელიაო ბანკის თეატრის იჯარით აღება იმ პირობებით, რომელიც გამგეობამ გვაუწყაო, და თავისის მხრით სხვა ახალი პირობები წარმოადგინა. ხოლო გამგეობამ არ მიიღო ეს ახალი პირობები და, დაუბრუნა რა ბე უკან, უარი უთხრა. ამ სახით იჯარით გაცემა ბანკის თეატრისა ვერ მოხდა.

*** საფინანსო კომისიამ უკანასკნელ კრებაზედ, კვირას, 17 მარტს, საჭიროდ დაინახა თითონვე გაიცნოს ქალაქის გამგეობის კანცელარიის საქმეთა მსვლელობა. ამისათვის აცნობა გამგეობას, რომ მომავალს ხუთშაბათს, საღამოს 7 საათზედ, მოვალთ კომისიის წევრები რათა გამოვირკვიოთ ვინ რამდენს აკეთებსო. გამგეობის საქმეთ-მწარმოებელნი ყველანი დაბარებულნი არიან ხუთშაბათის საღამოსათვის კანცელარიაში.

*** გუშინდელს საბჭოს კრებაზედ ხმოსანი გრიგოლი გაბრიელის ძე ყორღანოვი დააფიცეს, რადგან გუშინ მხოლოდ პირველად გამოცხადდა და ჯერ კიდევ ფიცი ხმოსნობისა არ მიეღო.

*** ამ თვეის 15 პოლიციის ბოქაულმა სვიმონოვმა მოიპატიჟა ქალაქის ექიმი ბ-ნი მაღალაშვილი, ხუროთ-მოძღვარი შიმკევიჩი და ორიც გარეშე კაცი. ყველანი ერთად მივიდნენ სოლომონ გეურქოვის სახლში, გრიბოედოვის ქუჩაზე და დაათვალიერეს ამ სახლის ეზო-მიდამო. აღმოჩნდა, რომ ეზო მეტად ბინძურად ინახება, რის გამოც დიდი უსუფთაობაა. მიზეზი ამ უსუფთაობისა ის არის, რომ ეზოს სანაგვე არა აქვს. ამას გარდა, ფეხის-ადგილში წყალი არ გადის, რომ უსუფთაობა თან გაიტანოს; ეზოს ჯირგინა არ აქვს, რომ მდგმურებმა ნარეცხი წყალი ჩაასხან და სხვა.

კომისიამ შეადგინა ოქმი, რომელიც უნდა წარუდგინოს ქალაქის 1-ლ ნაწილის მომრიგებელ მოსამართლეს ს. გეურქოვის პასუხის-გებაში მისაცემად. სახლის პატრონს ორის კვირის ვადა მიეცემა უწყების ჩაბარების შემდეგ, რომ ყველა შენიშნული უწესოება მოსპოს და ეზო-მიდამო სასურველს მდგომარეობაში მოიყვანოს.

*** ებრაელების ახალმა რაბინმა, ბ-ნმა ხადეკელმა უარი განაცხადა თავის თანამდებობაზედ, რადგან დროებით ჰქონდა ნაკისრი ეს თანამდებობა. კვირას, 17 მარტს, ქალაქის ებრაელთა საზოგადოებას კრება ჰქონდა, რომელსაც განსახილველად წარმოედგინა წინანდელ კრებაზედ არჩეულის კომისიის აზრი შესახებ რაბინის ამორჩევისა. კომისიამ თურმე გაზეთებით გამოიწვია მსურველნი და 150-მდე წერილი მიუღია რუსეთის სხვა-და სხვა ქალაქებიდამ. ამათში 9 კაცი ამოურჩევია, რომელთ შესახებ შეუკრებია ყოველივე ცნობანი, და მოუხსენებია კრებისათვის, რომელიც მოხდა კვირას.

კრებამ ამოირჩია ჟურნალ „Восходъ“-ის რედაქციის სეკრეტარი საულ გაინშელ პეტერბურგიდამ.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა უბრძანა პოლიციის ბოქაულებს, ყურადღება მიაქციეთ, რომ მეეტლები სუფთად იყვნენ ჩაცმულები, რადგანაც ამ ბოლოს დროს მეეტლები დაგლეჯილის ტანისამოსით გამოდიან ბირჟაზე და თვით ეტლებიც ისე მოსვრილი აქვთ, რომ შიგ მჯდომი ტალახით ითხუპნებაო.

*** ტფილისის თეატრებსა და სხვა ამ გვარ გასართობ ადგილებში მოსიარულე საზოგადოება სულ ქ-ნ ქუდიკმა და ნიკიტამ გადაიბირეს და თუ დარჩა ვინმე ნაზარალევი, ისევ ცირკია, რომელმაც იშვიათად თუ ათი და ოცი თუმანი აიღოს ღამეში თვით უქმე დღესაც-კი. ცირკი ბევრსა სცდილობს, ბევრს იბრძვის, რომ მეტოქობა გაუწიოს ზემოხსენებულ ორ არტისტ-ქალს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ყოველივე მისი ცდა და შრომა ამაოდა რჩება. ჯერ გლდანელი აჰიდაეს ორჯელ. ამით რომ ვერას გახდნენ-რა, ახლა ვიღაც თვალთმაქცი ვილჰელმი მოიწვიეს. ამ ვილჰელმს წარსულს კვირას უკანასკნელი დებიუტი ჰქონდა და უნდა აღვიაროთ, ვერაფერი სითვალთმაქცე გამოიჩინა. სამშაბათს კიდევ ახალი ცხენოსანი ქალი მიიღებს მონაწილეობას. ეს ცხენოსანი ქალი პარიჟიდგან ჩამოსულა, იქ კორეს ცირკში ყოფილა და სახელად ადელაიდა ალტჰოფი ეწოდება. ამბობენ, ერთი საუკეთესო ცხენოსანთაგანიაო. ამ დღეებში კიდევ ბ-ნი მაქსი უნდა ჩამოვიდეს ამავე ცირკში. ვნახოთ, ეხლა მაინც გაუღიმებს ცირკს ბედი, თუ არა?..

*** ამ სადიდმარხვოდ, როგორც შევიტყვეთ, ქართულ დრამატიულ დასის არტისტები კიდევ ორიოდე წარმოდგენის გამართვას აპირობენ სხვათა

## ფელეტონი

### უბედური ცოლ-ქმარნი

(სურათი სოფლის ცხოვრებიდგან)

#### I

ამ რამდენისამე წლის წინად მდ. პატარა ლიახვის ხეობის ერთს სოფელში სცხოვრებდა გლეხი მიტრო. თვალ-ტანადად მიტრო კარგა წამოსადეგი ვაჟკაცი იყო, მხნე, პატიოსანი, მშვიდი და მოსწრებულის სიტყვა-პასუხისა. ამისთანა კარგის თვისებით მიტრომ ისე დაიმსახურა თავის სოფლის გლეხების პატივის ცემა, რომ ყოველ სოფლის საქმეში იმასა ჰკითხავდნენ ხოლმე რჩევას. ერთის სიტყვით სოფელში უმიტროოდ არა კეთდებოდა-რა: ბოქაული მოვიდოდა სოფელში, თუ მეტყვევე, ან კიდევ სხვა ვინმე მოხელე, ყველას წინ მიტრო უნდა წამდგარიყო, ყველასათვის მიტროს უნდა გაეცა პასუხი. მიტრო იყო ერთად-ერთი გულ-შემატკივარი სოფლისა.

— უმიტროოდ ჩვენი სოფელი გროშად არა ღირს: ჭირშიაცა და ლხინშიაც სულ ეგ არის, კაცო, ჩვენი გულ-შემატკივარი!—იტყოდნენ ხოლმე გლეხები მიტროსას, როდესაც ის ქელეხიდგან, ან ქორწილიდგან ღვინით გაქეიფებულ-გაჭირვეულებულს გლეხს ძმურის დარიგებით დაამშვიდებდა, გამოიყვანდა და სახლამდის მიაცილებდა.

გაუვარდა მიტროს პატარა ლიახვის ხეობაზედ კარგი სახელი და მამასახლისადაც მალე ამოირჩიეს. ახალი მამასახლისი თავის თანამდებობას კარგად ასრულებდა, ამისათვის მიტროს ყველას გული მოგებული ჰქონდა... მაზრის უფროსიცა და ბოქაულიც მიტროს კარგად უცქეროდნენ.

ერთი კარგი თვისება მიტროსი, სხვათა შორის, ის იყო, რომ სასმელს აგრე რიგად არ ეტანებოდა, როგორც ეხლანდელი ჩვენი მამასახლისები. თუ მიტრო სასმელს დაჰლევდა, იმასაც ზომიერად: მიტრო მთვრალი არავის უნახავს. მიტრო თანდათან წინ მიდიოდა და კარგ შემძლებელ გლეხადაც ითვლებოდა სოფელში. ცოლიც მალე შეირთო მიტრომ და იმისი და თებროს ცხოვრება, როგორც შეჰფერის შემძლებელს გლეხს, კარგად მიდიოდა; მაგრამ, დახე მუხთალ წუთი-სოფელს, ასეთმა ცხოვრებამ ბევრს ხანს არ გასტანა და მალე ცხოვრების ჩარხი უკუღმა დაუტრიალდათ.

#### II

კვირა დღეა. სოფლის კანცელარიასთან საშინელი ყაყანია ხალხისა.

— მამასახლისო და მოსამართლენო! თუ იმ სამს ქალს რიგიანად არ დასჯით, „ნაჩალნიკთან“ გიჩივლებთ! წაგვიბილწეს სოფელი: ახალგაზდა არ გააჩნიათ და მოხუცი... თუ მაგათ ეგრე დაუსჯელად გაუშვებთ, ხვალ და ზეგ ჩვენი დედაკაცები უარესს იზამენ... ან ჩვენ უნდა ვიყვნეთ და ან ევენი!—გაისმოდა ხმა აღელვებულს ხალხში.

„ნაჩალნიკის“ ხსენებამ მოხელეები ცოტა არ იყო შეაფიქრიანა; მამასახლისი მიტრო მაინც კიდევ ეუბნებოდა ხალხს:

— აბა, წავიდეთ და მოველაპარაკოთ. თუ დაიშლიან თავიანთს ცუდს ყოფა-ქცევას, ხომ კარგი, და თუ არა, მაშინ მე ვიცი... სთქვა ესა და მამასახლისი გაემართა იმ დედაკაცების სახლებისკენ. ხალხი და მოსამართლენიც უკან გაჰყვნენ.

მალე მიუახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც ეს დედაკაცები სცხოვრებდნენ, და გამოუცხადეს:

— მთელი სოფელი, კაცი თუ ქალი, გიჩივით ცუდ ყოფა-ქცევას; დაიშლით ხომ კარგი, თუ არა და, მაშინ ჩვენ ვიცით...

— ეგ რა თქვენი საქმეა. ჩვენი ცოდო ჩვენვე მოგვეკითხება და არა თქვენ. ყოველი, კაცია თუ ქალი, თავის ცოდვებისთვის თითონვე გასცემს პასუხს უფალს განკითხვის დღესაო, უთხრეს კანკალით მოხელეებს სირცხვილისაგან გაფითრებულმა დედაკაცებმა.

— დახე ამ უნამუსოებს, კიდევ რეებს ამბობენ! აბა თუ დაირცხვინონ!? მაშ კარგი და ახლა-კი ჩვენ ვიცით, სთქვეს განრისხებულმა მოხელეებმა და თავიანთ სახლისკენ წავიდ-წამოვიდნენ.

მეორე კვირა დღეს სოფლის კანცელარიასთან იყო ხალხი შეკრებილი. მათ შორის რაღაც ჩოჩქოლია; ბანებიდგან დედაკაცები იცქირებიან, თითქო რაღაც საყურადღებო სურათის დანახვას ელიანო. მართლაც, გავიდა ცოტა ხანი და ხალხმა საზარელი სურათი დაინახა: მოხელეების წინ ძალის-ძალით წააყვნეს სამი ცრემლისაგან თვალებ დაწითლებული დედაკაცი. მამასახლისმა დაიყვირა:

— აბა, გზირო, ჩქარა მოხსენ მაგ უნამუსოებს შალები და მომიტანე ლაფი.

გზირმა მამასახლისის ბრძანება შეასრულა და იმ წამსვე მოურბენინა ნიჩბით ლაფი. მამასახლისმა ამ დედაკაცებს სათითაოდ ჩამოასხა თავზედ ლაფი.

ბანებიდგან დედაკაცების ხმა მოისმა:

— აი, თქვე უბედურებო! ცოცხლები რომ არ იყვნეთ, ის არ გირჩევნიათ?!

თავლაფ-დასხმულმა დედაკაცებმა სირცხვილით შინ ვეღარ მიჰბედეს მისვლა და ახლო-მახლო სოფლებისკენ ნათესავებთან გაიქცნენ.

#### III

შემოდგომის დღე იყო. შაქარა, ერთი ამ დასჯილ დედაკაცთაკანის ქმარი, ქ. გ—ის ქუჩაში დაეხეტებოდა და ვექილს ეძებდა. გლეხი ივან პეტროვიჩთან მიაწყდა, ჩქარა იპოვნა კიდეც და დაუწყო მუდარა:

— ერთი სახვეარი მაქვს, შენი ჭირიმე, უფალო აბლაკატო... მრცხვენიან-კი, რომ მოგახსენო, მაგრამ უნ-

შორის განზრახვა აქვთ წარმოადგინონ ქ-ნ ბ. ავალიშვილის საბენეფისოდ ა. სუმბათაშვილის ოთხ-მოქმედებიანი დრამა „ბორკილი“.

*** **ჩიფა**: პარასკევს, 15 მარტს, საღამოს ცხრა საათსა და ოც-და-ცამეტ წუთზე, სადგურ წიფაში იმოდენად შესამჩნევი მიწის-ძვრა იყო, რომ ოთახში ავეჯმა ქანაობა დაიწყო და იატაკმა და ფანჯრებმა—ჭაჭი-ჭუჭი. თვით სადგურ წიფის შენობაში რამდენსამე ადგილას ქვითკირის კედელი გაირღვა. მიწა იძრა სამხრეთიდგან ჩრდილოეთისაკენ და გასტანა ასე ხუთ ექვს წამს. როგორც გავიგე, მიწის ძვრა ხაშურშიაც შეუმჩნევიათ.

*** **დ. ახალ-სენაკი**: ათს მარტს იყო წლიური კრება შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა. კრებაზე დაესწრო დიდ-ძალი საზოგადოება. კრებამ გაარჩია და გადასწყვიტა ყოველივე, რაც გასარჩევი და გადასაწყვეტი ჰქონდა. ბევრი სიტყვა წარმოითქვა იმის შესახებ, თუ რა საქველ-მოქმედო საქმეს მოხმარებოდა მოგება. სხვათა-შორის ბ-ნმა მაზრის უფროსმა გ. ბებურიშვილმა სთქვა, რომ ახალ-სენაკის წინ წაწევისა და კეთილ-დღეობისათვის საჭიროა გვქონდეს რიგიანი ეკკლესია, რიგიანი წიგნთ-საცავი, სამკურნალო, სკოლები და სხვა ამ გვარი დაწესებულებაო. ამისათვის უნდა ჰზრუნავდეს საზოგადოება და, შეძლებისამებრ, შემწეობას აღმოუჩენდეს ყოველ ასეთს კეთილს საქმესაო. ბ-ნ ბებურიშვილის ლაპარაკმა აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება. ერთ ხმად გადასწყვიტეს მოხმარდეს ნახევარი მოგება წარსულის წლისა ეკკლესიას და სამეგრელოს საჯარო წიგნთ-საცავს. გადასდეს ასი მანეთი წიგნთ-საცავისათვის და დანარჩენი—450 მანეთზე მეტი,—ეკკლესიისათვის, რომელიც უნდა აშენდეს დ. ახალ-სენაკში. ამ კრებაზედვე გადასწყვიტეს იდღესასწაულონ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის დაარსების ათის წლის დღე რომლისათვისაც გადასდევს ორასი მანეთი. კარგი იქნება, რომ, სადილის მაგიერად ეს ორასი მანეთი მოხმარდეს წიგნთ-საცავს და ან რომელსამე სხვა კეთილს საქმეს.

*** **იქიდამვე**: სამეგრელოს საჯარო წიგნთ-საცავს შესწირეს: პავლე სამსონიამ ორი ნომერი ჟურნალის „ჯეჯილისა“ (1890 და 1891); ილარიონ სისორდიამ ორი ცალი რობინზონ კრუზესი, თხუზულება დეფოსი და ორი მანეთი ფულად—მანუჩარ გაბუნიამ.

*** 17 მარტს ბარიათინსკის ქუჩაზე მეეტლე იაგორ თულაევმა ეტლი დააჯახა ალექსანდროპოლის მცხოვრებელს ალი-ჯალიოღლის და მსუბუქად დააშავა. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს, მეეტლე პასუხის-გებაშია მიცემული.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. სტეფან-წმინდა** (ს. ყაზბეგი, თერგის ხეობიდამ). ძალიან მიკვირს ჩვენის ხევის უბედურება და მრავალ-გვარად საქმის დაცარვა. „ობლის კვერი ცხვა,ცხვა და ვერ გამოცხვაო.“ სწორედ ჩვენი საქმე ასეა. აგერ ათი წელიწადია აქაური სკოლის საქმე გვაქვს ფიქრად. არა და არ იქმნა ისე, რომ თუ ვინმემ ჩვენის ბედის გასაუმჯობესებლად რასმე საქმეს ხელი მოჰკიდა, ის დიდხანს შეგვრჩეს, თუნდ მოხელე იყოს, თუნდა კერძო, თუნდა დიდი კაცი, ან პატარა, შინაური ან გარეული. უთუოდ ან იმითი დაგვშორდება, რომ სხვაგან სადმე უკვრენ თავს ან სხვა რამ შეუშლის ხელს; თუ არც ერთი და არც მეორე, სიკვდილი მაინც არ შეგვარჩენს ამ გვარ კაცს.

აი ეხლაც რა გვიყო განგებამ! როგორი კაცი გამოგვაკლო: განსვენებული მიხეილ ყიფიანი, რომლის თავ-გამოდებით მეცადინეობაზედ სტეფან-წმინდის სკოლის გამართვის გამო, მკითხველს მოეხსენება. ისე გულიანად მოეკიდა ამ საქმეს, რომ ვერაფერს წინააღმდეგობას ვერ შეეძლო მისი შეშლა. (მართალია, თუმცა შეძლება და დროც-კი ხელს უწყობდა უწინანდელს თავ-დადებულებზედ უფრო). განსვენებულმა საქმე იქიდამ დაიწყო: გაიხსნა თუ არა კავკავში ქართული სკოლა და ნახა, რომ ამ სკოლას, კავკავში მცხოვრებელ მოხევების ყმაწვილებს გარდა, ხევიდამაც ბლომა ყმაწვილები მოაწყდა ამ სკოლას. დაუწყო ლაპარაკი და რჩევა ყმაწვილების პატრონებს, აუხსნა, რომ ამ სკოლაში მიბარებული შორეული ყმაწვილი რა ძვირად უჯდება პატრონს და ამასთანავე სკოლაში თავის ახლო დაუჯდება ათჯერ იაფად. ამ გვარი ლაპარაკი ჰქონდა ხოლმე ყველა კავკავში შეხვედრილ მოხევესთან, რომელსაც წაიყვანდა თავის სადგურში, მოისვამდა გვერდით და ესაუბრებოდა ტკბილად. ბოლოს საქმე იქამდინ მიიყვანა, რომ ჩვენში 50 თითო თუმნის შემტანი წელიწადში აღმოჩნდნენ. სახლებზედაც მიწერ-მოწერა გამართა ერთ აქაურ მებატონესთან გ. ყ—თან. სცდილობდა საეკკლესიო სახლებს (ძველ სტანციას) შევიძენთო; წერა-კითხვის საზოგადოებას დახმარებას სთხოვდა და სხვა. ერთის სიტყვით საქმე მოწყობილი იყო, ცოტა რომ ეცოცხლა. აქ იწერებოდა 1-ს მარტიდგან მანდ ამოვალ, ცოტა რომ მოთბება და ერთად მოვილაპარაკოთო.

მაგრამ ორს მარტს-კი გადაცვლილა თურმე. აქ გუშინ გავიგეთ გარდაცვლაც და ისიც, რომ კავკავიდგან მიცვალებულის გვამს მოასვენებენო, სტეფანწმინდას ბლომა ხალხი დაეხვედით ზარის რეკით და პანაშვიდიც გადავახდევინეთ იქაურს მღვდელს მალაზას. 10 მარტს სიონშიაც იქმნა წირვა და პანაშვიდი გადახდილი და მეორე დღეს-კი კობში აპირებდნენ.

დიდი მწუხარება ეტყობოდა მიცვალებულის დახვედრის დროს ხალხს და ყველა მოხევესაც.

თუმცა ამ განათლებულის კაცის დაკარგვა ყველასთვის სამწუხარო და დასაკლისია, მაგრამ ჩვენთვის-კი უფრო იმიტომ, რომ ისიც აღარ ვიცით, მოსჭიდებს ვინმე ხელს ამ ჩვენს ბედის საქმეს ისეთის თავ-გამოდებით, როგორც განსვენებულმა ყიფიანმა და განახორციელებს ვინმე იმის დაწყებულს საქმეს თუ არა? ეს საკითხია.

თუ კიდევ სხვა ვინმე ამის მაგიერობის გამწევი არ აღმოუჩნდა ხევსა ახლავე, მაშინ ისევ დიდხან დარჩება ჩვენი ბედი მიმალული, როგორც აქამდინ იყო.

ჩვენ ასეთის ბედისანი ვართ, მღვდელიც-კი არა გვრჩება დიდხანს, თუ რამე სიკეთის მოტანა მოინდომა ჩვენთვისა, აი როგორც მამა ალექსანდრე გულისაშვილი, რომელიც აქ მოსვლისათანავე (მლეთშია ბლაღოჩინად), ხამრევლო სკოლების გამართვის საქმეს შეუდგა და ორგან კიდეც გამართა: ერთი მლეთში და მეორე კობში, თუმცა ეს უკანასკნელი სასურველს მდგომარეობაში-კი არ არის ჯერა. აქაური უწინვე არეული სამღვდელოება დაამშვიდა, მათში ჩვეულებრივი შური და ერთმანეთის საჩივრები მოსპო, მღვდლები და მრევლი ერთმანეთში კარგათ დააკავშირა და სხვა. აი ეს კაციც სხვაგან გადაჰყავთ ბლაღოჩინადვე. მოდი და ნუ ვიტყვით, რომ საკვირველია ჩვენის უბედურების საქმეო, თუნდა წინანდელებსაც ნუღარ მოვიგონებთ!

სტეფანელი

---

**გურია**. ამ მარტის თთვის 13, საღამოდგან დაწყებული გათენებამდის, გურია ბევრგან გადანათებული და გადაკიანთებული იყო ცეცხლის ალით და დიდი ზარალიც მოხდა: ცეცხლმა ტყეები და მოსახლე კაცების სახლკარი გადასწვა, გადაჰბუგა. მაგრამ, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, მომეტებული ზარალი მოუვიდათ სოფელ სამლეთოსა და ხვარბეთის მცხოვრებთ.

ხვარბეთში მცხოვრებთ აზნ. ქარცივაძეების ტყეში ორი კაცი ნახშირსა სწვავდა; კარავიც ჰქონდათ გაკეთებული ზემო-აღნიშნულს დღეს, საღამოს 5 საათზე, ვიღაც თავზე ხელ-აღებულმა ბოროტ-მოქმედმა ცეცხლი წაუკიდა კარავს. სქელის ხავსით მოფენილი ტყე კაის ხნის უწვიმრობისა გამო გამხმარი, „კაფიჩხებულ გაფუჩხებული“ იყო, ზენა-ქარიც ჰქროდა. სწრაფად გაძლიერდა ცეცხლი და მოედო ტყეს. საღამოზე მიუახლოვდა ნატანების დუქნებს და რკინის გზის სადგურს. სადგურის უფროსმა დეპეშა გაუგზავნა ოზურგეთში პოლიციას და შველა სთხოვა. პოლიციამაც მოეშველა, მაგრამ ცდა ცეცხლის გაქრობისა ამაო იყო. ცეცხლი თანდათან უახლოვდებოდა დუქნებს, ვაჭრებმა გადარჩენის იმედი გადაიწყვიტეს, დასცალეს დუქნები, მოჰკრეს საქონელი, ბარგი-ბარხანა და ტრიალს მინდორზედ გადაიტანეს. მოულოდნელად ღამის 11 საათზე ზენაქარი ჩავარდა და საშინელი ქვენაქარი ამოვარდა. ქარის მიმყოლმა ცეცხლმა პირი იბრუნა და სხვა მიმართულება მიიღო. იქაურებს მაშინვე გადარჩენის იმედი მიეცათ და, ცოტა არ იყოს, დაუშოშმინდათ და დაუწყნარდათ „აბანძგალებული“ გული.

შუა ღამეა. სამლეთოელები ტკბილს ძილს მისცემიან. გამოტრიალებული ცეცხლი გამოქანებულა და მოსდებია სოფ. სამლეთოზე მოკრულს ტყეს. დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი ლოგინიდგან წამოხტნენ და გარედ გამოცვივდნენ. კომლისაგან შემაწუხებელი ბუღი და „ნისლი“ სდგას. ძლიერი ქარი ცეცხლიან მოზრდილ ხის ტოტებს ისვრის ჰაერში აქეთ-იქით. ნაპერწკლები წვიმასავით აცვივა ხალხს, თვალი ვერ გაუხელიათ. შეიქნა გულის გამგმირავი და შემაძრწუნებელი ყვირილი და კივილწივილი. ვინ თმასა და წვერს იგლეჯს და თავში იცემს, ვინ ლოყასა და მკერდს იხოკს და იკაწრავს. სწორედ ჯოჯოხეთს დაემზგავსა სოფელი.

ახლო-მახლო სოფლებიდგან დიდძალი ხალხი მიეშველა გაჭირვებულთ. ისლით დახურულ სახლებს სახურავი გადაარღვიეს. ყავრით დახურულ შენობებზედ ავიდნენ, ქარისაგან გამოსროლილს ცეცხლს წყალს ასხამდნენ და აქრობდნენ. გათენებას 2—3 საათი აკლდა, რომ ჩადგა ქარი. მხოლოდ ერთის კაცის სახლ-კარი და ავეჯეულობა დაიწვა და დაიბუგა. დამსწრეთ მხნედ და თავ-განწირულებით რომ არ ემოქმედნათ, უეჭველია, მთელი სოფელი გადიწვებოდა და განადგურდებოდა. ადგილობრივ მამასახლისმა კ. ბოლქვაძემ, რაც გაეწყობოდა, სიმარჯვე და ყოჩაღობა გამოიჩინა და მადლობის ღირსიც არის ამისათვის.

---

და გაგიტყდე და გითხრა: ჩემს დედაკაცს და ორს კიდევ სხვას სოფელმა სუდია-მამასახლისთან უჩივლა, ცუდი ყოფა-ქცევისანი არიანო, უნდა ეგ დედაკაცები დასაჯოთო, და ჩვენმა მამასახლისმა მიტრომ, ღმერთმა ნუ მისცეს იმას კარგი და კეთილი, იმ საცოდავ დედაცებს თავზედ ლაფი დაასხა. ერთმა დედაკაცმა სულ ვერ იცოცხლა ერთი კვირა, შენი ჭირიმე, და ჯავრისაგან თქვენი ჭირი წაიღო და გარდაიცვალა. ერთის დედაკაცის ქმარს ელდა ეცა და ისიც მალე გამოესალმა წუთი-სოფელს. ჩემმა დედაკაცმაც სირცხვილისაგან შინ მოსვლა ველარ მოჰბედა და სადღაც გაიქცა. აი, ამისათვის გიახელით, უნდა სუდია-მამასახლისს ვუჩივლოთ. ერთი კარგი არზა დამიწერეთ და გასამრჯელო მიიღეთ.

—ჰმ!.. ჩაიცინა თავის გულში ივან პეტროვიჩმა: ეს კარგი ლუკმა ვიგდე ხელშიო! მარტო არზა დაგიწერო, თუ სასამართლოშიაც ვაწარმოვო საქმე?

—არზაც დამიწერე და საქმესაც მოუარე, შენი ჭირიმე: მე სასამართლოში ლაპარაკისა რა ვიცი, ერთი საცოდავი გლეხი ვარ. სასამართლოში თავის დღეში არ გამივლია, უპასუხა შაქარამ.

— მაშ კარგი, არზასაც დაგიწერ და საქმესაც ვაწარმოვებ სასამართლოში, მხოლოდ ოთხ თუმანს გამოგართმევ, უთხრა შაქარას ვექილმა.

— მეტი რა ღონეა, შენი ჭირიმე, მოგართმევ.

შაქარამ გახსნა დაგლეჯილი ქისა, ამოიღო იქიდგან ხელების კანკალით ოთხი თუმანი და მისცა ვექილს.

### IV

ამ დედაკაცების დასჯის შემდეგ მიტრო სინიდისმა შეაწუხა. შინ იყო თუ გარედ, სულ ის დასჯილი დედაკაცები უდგნენ თვალ-წინ, სულ იმათზედ ჰფიქრობდა და იტანჯებოდა.

— რა ვქენ ეს?! ჰფიქრობდა ერთხელ თავის გულში მიტრო, დერეფანში წამოწოლილი: ნუ თუ სხვანაირად არ შემეძლო იმ საცოდავ დედაკაცების დასჯა?! თავზედ ლაფი დავასხი და ისიც ვისა? დედაკაცებს! რომ მიჩივლონ, ხომ მთლად დავიღუპები კაკალი კაცი?! სასამართლოში იმას არ მეტყვიან, რა უფლება მქონდა აგრე დედაკაცების დასჯისა? ვაიმე უმედურსა! ვაიმე, თუ ციხეშიაც დამიჭირონ, მაშინ რაღა ეშველება ჩემს თებროს? სწორედ გული გაუსკდება საწყალსა!

ამ ფიქრებში რომ იყო, უცებ წასთვლიმა და ხვრინვა ამოუშვა... დაიძინა მიტრომ და ძილში საშინელი სიზმარი ნახა: ვითომ მიტრო სასამართლოშია, მოსამართლის წინა სდგას. იქვე მიტროს ახლო სდგანან დასჯილი დედაკაცებიც და ტირილით შესჩივიან მოსამართლეს: შენი ჭირიმე, ბატონო, მიტრომ თავზედ ლაფი დაგვასხა, ქვეყანაში გამოგვასალმა და გთხოვთ დასაჯოთ. აი ვითომ მოსამართლემაც შეიწყნარა დედაკაცების თხოვნა და დაუყვირა მიტროს: შენ რა უფლება გქონდა და როგორ გაბედე, რომ ეგ დედაკაცები დასაჯე? ჩქარა ციხეში წაიყვანეთ! აგერ ჩაფარიც მალე შემოვარდა და სწვდა მიტროს ციხეში წასაყვანად. ოფლში გაწურულმა მიტრომ ეხლა-კი ველარ მოითმინა და ერთი საშინლად შეჰყვირა: დამაცა, კაცო, რას მიჭერ? მეთითონ წამოვალ ციხეშიო. ამ სიტყვებზედ კიდეც გამოეღვიძა, დაიწერა პირჯვარი და თან თავისთვის წაიბუტბუტა:

— ღმერთო, მაშორე ყოველსავე ხიფათს!

### V

ერთს მშვენიერს დღეს გ—ის მომრიგებელ-სასამართლოში ჩვენი მამასახლისი მიტრო და „სუდიები“ გაფითრებულნი იდგნენ. როდესაც მოსამართლის წინ მიტრომ და „სუდიებმა“ აღიარეს თავისი დანაშაული, მოსამართლემ დამნაშავედ იცნა და მიტროს ოთხის თუმნის ჯარიმის გადახდა და სამის თვეით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა, „სუდიებს“-კი თითო თუმნის ჯარიმის გადახდა და სამ-სამი თვეით დაპატიმრება.

შენს მტერს მოსწყდეს წელი, მკითხველო, როგორც ასეთის განაჩენის მოსმენამ მიტროს წელი მოსწყვიტა: გულ-წასული მიტრო, როგორც იყო მოასულიერეს და ძლივს გაიყვანეს სასამართლოდგან.

საპატიმროში ყოფნამ თავ-მომწონე მიტრო სულ ერთიანად გაანახევრა.

ჯავრისა და ნაღველისაგან ავად გახდა. სამის თვეის შემდეგ მიტრო ავადმყოფი მოიყვანეს გ—დგან თავის სახლში და აქ ორის კვირის შემდეგ წუთი-სოფელს გამოესალმა საბრალო.

მიტროს სიკვდილმა ყველას გული ჩაუთუთქა სოფელში. მიცვალებულის დასაფლავების დროს ხალხში ხშირად გაისმოდა:

—ღმერთმა გაცხონოს, ჩვენო ერთგულო და დამრიგებელო, ჭირშიაცა და ლხინშიაც გამოსადეგო მიტროო! სანამ ცოცხალნი ვიქმნებით, შენი სახელი არ გაჰქრება ჩვენში!

მიტროს ასეთმა უდროოდ სიკვდილმა თებროს, იმის ახალგაზდა მეუღლეს, სულ ერთიანად გულ-ღვიძლი ჩაუთუთქა. საბრალოს ისე უყვარდა თავისი მეუღლე, რომ მალე ჯავრისაგან გონება აუფორიაქდა და დღესაც გონებაზედ ვერ მოსულა: ერთ თავად სულ მინდორ და ტყეტყე დადის, იგლეჯავს ტანისამოსს, იგონებს თავის მიტროს და გამწარებით გაიძახის:

— ვაიმე, ჩემო მიტრო, ვაიმე, ჩემო მიტროო!...

ტყესა და მინდორში ყოფნა რომ მოჰბეზრდება, მოვა შინ, ჩაიკეტავს სახლის კარებს, ახდის თავის მზითვის სკივრს, ამოიღებს ხოლმე იქიდგან დედოფლებს, სახლის ირგვლივ შემოამწკრივებს, ხან აუვლის, ხან ჩაუვლის და ეთამაშება. მერე ისევ ჩაალაგებს დედოფლებს სკივრში, დაჰკეტავს მაგრად და ტყესა და მინდვრისკენ გაეშურება...

ზ. ოქუაშვილი

სოფლის გარეშე ბევრი სიმინდით სავსე ნალიები დაიწვა; აგრეთვე მცხოვრებლების რამდენიმე ასი საჟენი მოკლედ დახერხილი შეშა დაიწვა და საბოჭკე ხეებიც. გადამწვარია აზნ. ქარციეაძეების ტყე, სახაზინო და სასოფლო, მაგრამ უფრო ბევრი პირველებისა. ჯერ არ არის მოყვანილი ცნობაში, თუ ვისი ტყე რამდენის ვერსის მანძილზე დაიწვა. ზარალს 10,000 და 100,000 მანათობით ანგარიშობენ. ამ ტყეებში მყოფთ ნადირთაც შავი დღე დაუდგათ. ბევრი ველური ღორი, შველი და ტურა-მგელი დაიწვა და დაიდაგა. ბუნაგ-დამწვარი, საფუძველ-არეკილი და ცეცხლისაგან გადარჩენილი გაბრაზებულ-გამორეტებული მგლები იმავ ღამეს შემოცვივდნენ სოფლებში, დაერივნენ დაწვის შიშით გარეთ გამოშვებულს, საქონელს და დიდი ნავნევი ჰქმნეს.

თეოფანე კალანდარიშვილი

# რუსეთი

ადესის ოლქის სასამართლომ ამ დღეებში ერთი დიფამაციის საქმე გაარჩია. „Одесскій Листокъ“-ის რედაქციას უჩიოდა ერთი „აბლაკატი“ იმიტომ, რომ ამ გაზეთმა „აბლაკატთა“ ზოგიერთი სიქველე და სიკეთე გამოაქვეყნა და, სხვათა შორის, აღნიშნა ერთი „აბლაკატთაგანი“, ვიღაც ფ., რომელსაც განათლება საპყრობილეში აქვს მიღებული და დიპლომი კიდევ სასამართლომ მისცა იმით, რომ სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედებაში ბრალი დასდო. თუმცა ამ ვაჟბატონის გვარი, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, არ ყოფილა გამოცხადებული, მაგრამ გამოჩნდა კაცი, რომელმაც გაზეთის მიერ აწერილ-აწუსხული ამბავი თავის თავზე მიიღო და წინაამდეგ გაზეთისა და გაზეთის თანამშრომლის კლეპაცკისა ერთბაშად გაილაშქრა—ერთსა და იმავე დროს სისხლის სამართლის საქმეც დაიწყო და სამოქალაქოძიებაც. ფაინბურდმა (გვარია „აბლაკატისა“) განაცხადა, რომ დაუფასებელი საზოგადო მოღვაწე ვარ, ჩემი სახელი ქება და დიდება არა თუ რუსეთში საზღვარ გარედაც არის მიღწეული, როგორადაც ლონდონსა, ჰამბურგსა და ამსტერდამშიო. ერთხელ ხმოსნადაც მომინდომეს ამორჩევა, მაგრამ არ დავთანხმდიო და სხვა-და-სხვა. ახლა გაზეთის წყალობით ქვეყანაში შევრცხვი, აბრუ გამიტყდა და სახელი დამეკარგაო. ითხოვა, 10,000 მანეთი გადაახდევინეთ გაზეთს ჩემდა სასარგებლოდ და ამას გარდა კიდევ ცილის წამებისათვის ცილის მწამებელნი დასაჯეთო. საქმის გარჩევის დროს აღმოჩნდა, რომ ეს ვაჟ-ბატონი მართლა ყოფილიყო სისხლის სამართალში მიცემული და „ვირის აბანოშიაც“ მჯდარიყო. ამ ნაირად გაზეთის მიერ აწერილი და გამოქვეყნებული ამბავი სასამართლოში საბუთებით დამტკიცდა და ბრალდებულნი გაამართლეს. ამ საქმემ ცხადად დაამტკიცაო,—ამბობს „Недѣля“,—თუ რამდენად გამბედავნი და თამამნი არიან იმ ყალიბის კაცნი, რომელთაც „აბლაკატები“ ეწოდება.

— „Московскій Листокъ“ ი ერთის დუელის ამბავს მოგვითხრობს, რომელიც ამერიკელთა ჩვეულების წესით მომხდარა*). ვარშავის მახლობლად ერთმა სტუდენტმა, გვარად კამაროვსკიმ თავი მოიკლა და ორი წერილი დასტოვა. წერილებში ამართლებდა თავის მოწინააღმდეგეს და არ ამხელდა-კი ვინ იყო ის. მაგრამ გამოძიებამ აღმოაჩინა მიზეზი ამ უბედურებისა. ის გვარად ნიდეცკია. თუმცა გვარი პოლშური აქვს, მაგრამ ნემეცია და მუდამ ბრესლავში სცხოვრობს. წარსულის წლის ქრისტეშობისთვეში ის ვარშავაში ჩამოვიდა და ხშირად დადიოდა ფ—ს ოჯახში. ამ ოჯახში კამაროვსკიც ხშირი სტუმარი იყო. ფ—ს ერთი მშვენიერი ქალი ჰყავდა, სახელად იადვიგა. ახალწელიწად ღამეს ნიდეცკი და კამაროვსკი ორ საათამდე დარჩნენ ამ ოჯახში და შემდეგ ორნივე ერთად გაემგზავრნენ სახლში. საუბედუროდ, გზაში იადვიგის გამო შუღლი ჩამოუვარდათ და ნიდეცკიმ მოქმედებით შეურაცხ-ყო კამაროვსკი. მეორე დღეს კამაროვსკიმ სეკუნდატები მიუგზავნა ნიდეცკის და დუელში გამოითხოვა, მაგრამ ნიდეცკიმ უპასუხა, რომ არას გვარს დუელს არ მივიღებ გარდა „ამერიკულისაო“. კამაროვსკი დიდხანს არ თანახმდებოდა ამერიკულს დუელზე, ხოლო ბოლოს, მეტი გზა არ იყო დათანხმდა და მით თავისთავს ბოლო მოუღო.

— ამ ბოლოს დროს ძალიან გახშირდა თავის მკვლელობა. დღე ერთია და მკვლელობა ათასი. ასე წარმოიდგინეთ, თორმეტ-ცამეტის წლის ყმაწვილებიც-კი თავს იკლავენ. ამისთანა ამბავი სოფლელთა შორის-კი მოხდება ხოლმე. მაგალითებრ, აი ამას წინად ქალაქ ადესაში აი რა ამბავი მომხდარა. ამ ქალაქში სცხოვრობს თურმე ერთი ოჯახი, გვარად ი. ალექსანდროვი. ამ რამდენისამე ხნის წინად ეს ოჯახი სრულიად შეაშფოთა ერთმა ბარათმა, რომელიც 13 წლის მოსამსახურე გოგომ ბარბარემ დაუტოვა თურმე. აი შინაარსი ამ ბარათისა: „გთხოვთ ნუ შეიწუხებთ თავს და ძებნას ნუ დამიწყებთ. თუ მაინცდამაინც გნდათ ჩემი ნახვა, მობრძანდით ძველ ქრისტიანეთა სასაფლაოს საანატომიო სავანეში და იქა მნახავთ. ნურავის დააბრალებთ და დააშიზეზებთ ჩემს სიკვდილს, იმიტომ-რომ იმის გულისთვის-კი არ მოვიკალ თავი, მიზეზი ჩემის ასეთის საქციელისა ის არის, რომ მეწყინა, ასეთი ამბევია რად დამემართა-მეთქი. მ—ჩი არაფერს შუაშია, მე თითონ ჩამოვეკორწიალე კისერზედ, წერილებით მოსვენებას არ ვაძლევდი და ისიც იძულებული იყო ვენახე ხოლმე. ჩემი ბრალია, მხოლოდ ჩემი“. ბარათი ამ სიტყვებით თავდება: „აქ განისვენებს გვამი ბარბარესიო“.

# წვრილი ამბები

## აღსარება ტალეირანისა

ამას წინად ზოგიერთი ადგილი ტალეირანის აღსარებისა უკვე გავაცანით მკითხველთ. საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე ადგილი კიდევ მოვიყვანოთ ამ შესანიშნავის აღსარებისა:

ცხოვრება მოსათმენი იქნებოდა, რომ სხვა-და-სხვა გასართობი და თავის შესაქცევარი არ არსებობდეს.

მე დავრწმუნდი, რანიცა ბრძანდებიან კარგად წოდებულნი პატიოსანნი კაცნი და ამ დარწმუნებამ მხოლოდ ზიზღი მაგრძნობინა. თუ გინდათ თქვენც დარწმუნდეთ, უყურეთ პატიოსანს კაცს მაშინ, როცა იმის სურვილი და ინტერესი ოდნავ ხელ-შეხებულია.

მოხუცებული სწორედ იმას ჰქვიან, ვინც ადარაფერს საქმეში გამოსადეგი აღარ არის.

ზოგიერთი ღიმილი იმდენად გულის გამგმირია, რამდენადაც მახვილი.

ღირსებისამებრ დაფასება ცხვართა ნეტარებისა მხოლოდ მწყემსს შეუძლია.

ჰო და არა სათქმელად ძალიან მოკლე და ადვილი სათქმელი სიტყვებია, მაგრამ ამის სათქმელად იმდენსა ვფიქრობთ, რომ ამდენი ფიქრი დანარჩენ სხვა სიტყვების სათქმელად არ დაგვჭირდება.

დიპლომატთა მელანი ჩქარა წაიხოცება, თუ თოფის წამალი არა აქვს მოურილი.

ბრძოლა-კი არ არის მნელი, გამარჯვების გამოყენებაა.

ვინც თვალის გამომეტყველებით თქმულს ვერ მიხვდება, იმას გრძელისა და მარტივის საუბრითაც ვერაფერს აუხსნით და გააგებინებთ.

სიმართლე ცილისწამებაზე უძლიერესი იარაღია.

ყველაზე უფრო ადვილად ის მოტყუვდება, ვისაც ჰგონია, რომ ყველაზე მოხერხებული და უნარიანი კარო.

პირველად ვამბობთ „შემდეგო“, შემდეგ—„გვიანღააო“ და ამ ნაირად მიდის მთელი ჩვენი ცხოვრება.

როცა საიდუმლოს გაამხელენ, დამნაშავე ის არის, ვინც საიდუმლო იმისთანა კაცს გაანდო, რომელიც გაამხელდა.

საზოგადო წესია, რომ ადამიანთა საქმის დასაწყისი ყოველთვის ბრწყინვალეა, შუა გული მოსაწყენია, ხოლო ბოლო სამწუხარო და სავალალო.

ფული მეორე ღმერთიაო, ამბობენ, მაგრამ შემცდარნი არიან. ფული არც იმდენად ყოვლის შემძლებელია, როგორც ფიქრობენ. ძალა ფულისა მეტად სუსტი და უღონოა, თუ სახეში მივიღებთ იმას, რაც ფულით არ იყიდება. დარიბთ სიმდიდრე ბედნიერებად მიაჩნიათ მაშინ, როცა ცხოვრებას მდიდარნიც უჩივიან. ჭეშმარიტი და ხელ-შეუხებელი სიკეთე და ბედნიერება ყველას თანასწორად ეკუთნის. სიჭაბუკე, ჯანმრთელობა, ჭკუა, სილამაზე, სიყვარული და გენიოსობა ყოველის დარიბისათვის ხელ-მისაწვდენია, ხოლო ვერც ერთს ამას ვერც ერთი მილიონის პატრონი ფულით ვერ იყიდის.

ასი ათასი ცხვარის ჯარი, თუ ლომი სარდლობს, უფრო საშიშია, ვიდრე ის ჯარი, რომელშიაც ასი ათასი ლომია, მაგრამ რომელსაც სარდლად ცხვარი ჰყავს.

არის ისეთი შეცდომა, რომელსაც გამართლებ, არის ისეთი გატაცება, რომელიც დანაშაულად არ მიმაჩნია. ეს ჩემი საკუთარი შეცდომა და გატაცებაა.

თუ რომ სხვისი გამოცდილება რამეს გვასწავლიდეს, ყველას ვურჩევდი, ავნუსხა ის წესი და რიგი, რითაც ცხოვრებაში ხელმძღვანელობას აპირებდა. ეს ბევრის შეცდომისა და ხიფათისაგან დაგვიხსნიდა. მაგრამ სამწუხაროდ, გამოცდილება მსგავსია იმ მკურნალისა, რომელიც ავადმყოფის სანახავად ყოველთვის გვიან მიდის. გამოცდილება მიაგავს იმ ვარსკვლავს, რომელიც მაშინ ამოდის, როცა ყველა დაწოლილი და დაძინებულია.

ჭკვიანი კაცი არაოდეს არაფერს არ დაგპირდება, არაოდეს არაფერში სიტყვას არ მოგცემს, მაგრამ გაკეთებით-კი ორ იმდენს გაგიკეთებს, რამდენსაც ის, ვინც დაგპირდა და სიტყვა მოგცა.

ის კაცი, რომელიც გეუბნება, არც ერთს დასს არ ვეკუთნიო, დარწმუნებული იყავით რომ თქვენთან საერთო არაფერი არა აქვს.

ადამიანი თავის საიდუმლოს მაშინ წამოროშავს, როცა არავინ ეკითხება. როცა დაეკითხები არაფერს გიპასუხებს.

მაღალი თანამდებობა მთის მწვერვალის მსგავსია: იქ ადგილი მხოლოდ არწივსა და ქვემძრომსა აქვს.

---

*) ეს წესი იმაში მდგომარეობს, რომ ვინც დუელში გამოითხოვს ერთმანეთს, წილი უნდა იყარონ და ვისაც წილი ერგება, თავი უნდა მოიკლას.

# წერილები რედაქციის მიმართ

## I

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო მარიამ ნიკოლოზის ასულს მაღალაშვილს, რომელმაც ჩემდა რწმუნებულ სკოლის მოწაფეებს დაუგზავნა ჟურნალი „ჯეჯილი“ მთელის წლით.

ახალქალაქის სასოფლო სკოლის მასწავლებელი

თამარ კეზელი

17 მარტს 1891

## II

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემულის გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა გამოვუცხადო ბ-ნს ნ. ლდოვს, რომელმაც შემოსწირა ტფილისის ფერიცვალების ანუ დარიის მონასტრის სამრევლო სკოლას: ბუნების კარი 4 წიგ. ორი ყდიანი და ორიც უყდო, დედა-ენა ყდიანი 5 წიგ., Русское Слово უყდო 5 წიგ., რუსულის წერის რვეული 40 ცალი, ქართულის წერის რვეული 30 ცალი, ყარანდაში 24 ცალი.

ტფილისის ფერიცვალების მონ. სამრევლო სკოლის მასწავლებელი

ონისიმე ჭიკაძე

# დეპეშა

## 17 მარტი

ბელგრადი. სოფიიდგან იუწყებიან, რომ ბელჩევის შემთხვევით მოკვლამ და სტამბულოვის თავ-დაცემამ მთავრობა იძულებულ ჰყო დიდ-ძალი საეჭვო კაცი დაეპატიმრებინა და ხასტიკი ღონისძიება ეხმარაო.

სოფია. როგორც ყოველ ნიშნიდგანა სჩანს, ბოროტ-მომქმედთ სტამბულოვის მოკვლა ჰქონიათ აზრად. ბევრი არიან დაპატიმრებულნი. ხმა დადის, რომ კულისა და იმის მიდამო მკვიდრნი აიშალნენ, ხოლო მთავრობის მოხელენი-კი ვიდინში გაიქცნენო.

„Свобода“ ამბობს, რომ სტამბულოვის მოკვლის მსურველი ბოროტ-მომქმედნი მოსყიდული აგენტები არიანო.

ვენა. სოფიაში მომხდარმა ამბავმა სტამბულოვზედ თავ-დაცემისამ აქ დიდი გავლენა იქონია. გაზეთები ჰშიშობენ, ვაი თუ ევროპის დიპლომატიამ ამ ახლო ხანში კვლავ დასჭიროდეს ბოლგარიის საქმეში გარევაო. „Wiener Tagblat“ ი იუწყება, რომ ამ სამის კვირის წინად სოფიაში ვიღაც აპოსტოლოვმა აცნობა მთავრობას, შეთქმულობაა პრინცის ფერდინანდის წინააღმდეგაო. და ამის გამო ორი შეთქმული დაპატიმრეს კიდეც, მაგრამ აქამდე ეს დაპატიმრებულნი არაფერს აღიარებენ და არაფერს ამხელენო. მეორე დღესვე აპოსტოლოვი სადღაც მიიმალა. ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ მისივე თანამზრახველნი მოჰკლავდნენ დაბეზღებისათვისაო.

სოფია. გაზეთები სამგლოვიარო არშიით გამოვიდნენ და დიდის მწუხარებით იხსენიებენ ბელჩევის სიკვდილს. მთავრობის გაზეთი ამბობს, ეჭვიც-კი არა გვაქვს, რომ ბოროტ-მომქმედთ სტამბულოვის მოკვლა ჰქონიათ აზრად და განზრახ დასცემიან თავს ორივესო.. საზოგადოებას არა სჯერა, ვითომ ამ საქმეში შეთქმულობა იყოსო რამ, ხოლო თუ ეს უბედურება მოხდა და მოკვლა მოინდომეს ვისიმე, ისინი პირადი მტრები იქნებოდნენო. ქალაქის ბაღში სამი რევოლვერი იპოვნეს. სოფიასა და მთელს ბოლგარიაში სრული მშვიდობიანობა ჰსუფევს.

დღეს პრინცი ფერდინანდი ბელჩევის დასაფლავებას დაესწრება.

ხმა დადის, რომ ბელჩევის მკვლელი დაპატიმრებულ იქმნაო.

## პეტერბურგის ბირჟა, 15 მარტი.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გარიგებულია. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 6 74 | 6 76 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | 134³/₄ | 135¹/₄ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | 1 06 | — „ |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 237¹/₂ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 222¹/₂ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . . | — „ | — „ | 216¹/₂ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 102 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | 102 | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | 99 „ | — „ |

# მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ჯადაზე გემები.

# განცხადებანი

## გლოვუსები და პლანეტა-რიები

სასწავლებლებისათვის მიიღო მეჩისლავ კიმაერმა

(განოვის ქუჩა, № 20).

(2—2)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

## ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

## ა. როინაშვილი

ყიდულობს ყველა ნაირს მკედებურს

ნივთებს

აგრეთვე მოიწვევს ხელოსანს ქალებს, რომელთაც შეუძლიანთ მკედებურის ხელოვნებით ოქრო-მკედით და აბრეშუმის მაფეულობით კერვა ფარჩაზედ: ბაფთების, სუზნების, თახჩის ფარდების, და სხვა. უმორჩილესად ვსთხოვთ მობრძანდნენ და მიიღონ საქმე კარგს ფასად ერევნის მოედანზე, ხარაზოვის სახლებში, როინაშვილის ფოტოგრაფიაში.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული

## ლექსიკონი

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან.

რული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| Кавказскій стѣнной календарь. რუსულ-ქართულ-სომხურ-თათრულ ენებზე | 1 | „ |
| მიბაძვა ქრისტესი წიგნი III—IV ყდით . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 25 |
| საგულისხმიერო აზრები ვეფხვის ტყაოსნიდამ. . | „ | 10 |
| სამი ისტორიული ხრონიკა ე. თაყაიშვილისა. . . | 1 | „ |
| ქართული წერის დედანი და ხატვის ნიმუშები ს. დათეშიძისა . . . . | „ | 25 |
| Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по малой Азіи А. Хаханова | „ | 50 |
| ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა . . . . . | „ | 60 |
| ოქროს ხოხობი, დ. დათოშვილისა . . . . . . | „ | 5 |
| არჩილიანი, გამოცემ. მაჩიტაძის—დიმელისა . . | „ | 75 |
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა . . . . . . | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | „ | 40 |
| ქეთევა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . . | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ | 60 |
| გრამატიკა ქორდანიასი . | „ | 55 |

## მეჩისლავ კიმაერი

(განოვის ქუჩა, № 20)

ჰკისრულობს გამართვას ყოველ გვარის ქარხნისასა, ფაბრიკისას და სახელოსნოებისას. ჰკისრულობს აგრეთვე დაბარებას ყოველ-გვარის მაშინებისას ყოველის მოწყობილებითურთ და მათს მომართვას.

P. S. ვურჩევ ყველას შეძენას ახალის წისქვილებისას, პეტროლეუმი აგრეთვ აპარატებისას მადნის წყლებისათვის. (4—2)


# ბ ა ლ ა ნ ს ი

ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა 1 იანვარს 1891 წლისა.

აქტივი

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| კასსა: ნაღდი ფული . . . . . . | 20,762 | 36 | | |
| გირაოს ფურცლებით . . . . . | 101,200 | — | 121,962 | 36 |
| ფული მიმდინარე ანგარიშებზე: | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში . . . . . | 15 019 | 70 | | |
| ბ) ტფილისის სავაჭრო ბანკში . . | 319 | 59 | | |
| გ) ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში . . . . . | 14,903 | 21 | | |
| დ) კორრესპონდენტებთან . . . | 169 056 | 57 | 199,299 | 07 |
| საწევრო ფული ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში . . . | — | — | 109 | 61 |
| სახელმწიფო სარგებლიანი ქაღალდები, შენახულნი სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში: | | | | |
| ა) უზრუნველ-საყოფლად გირაოს ფურცლების გამოცემისა (წესდების § 50). . . (220,000) | 202,885 | 94 | | |
| ბ) ტირაჟში გამოსულთა გირაოს ფურცელთა და კუპონთა . (50,000) | 46,763 | 80 | | |
| გ) სათადარიგო თანხის სასაკუთრონი . . . . . . . (60,000) | 56,859 | 89 | 306,509 | 63 |
| სხვა სარგებლიანი ქაღალდები ბანკის კასაში: | | | | |
| 5% ობლიგაციები II აღმოს. სესხისა, სათადარიგო თანხაში ჩარიცხული. . . . . . . . . (500) | 489 | 60 | | |
| 6% გირავნობის ფურცელნი ქუთაისის ბანკის სასაკუთრონი. . (20,800) | 20,161 | 42 | 20,651 | 02 |
| სახელმწიფო სარგებლიანის ქაღალდების სარგებელი 1 იანვრამდე 1891 წლისა . . . . . . . | — | — | 2.402 | 05 |
| სესხნი გასაცემად დანიშნულნი . . . | — | — | 28,300 | — |
| სესხნი: ა) სოფლის ადგილ-მამულებზე $43^1/_2$ წლით . . . . . . | 1.237,800 | — | | |
| ბ) ქალაქის მამულებზე $18^7/_{12}$ წლით | 2.061,100 | — | 3.298,900 | — |
| გ) მოკლე-ვადიანნი სესხნი . . . | — | — | 101,360 | — |
| მოვალენი: ა) შემოსატანი ფული, რომელსაც შეღავათი აქვთ: | | | | |
| 1) ხანგრძლივთა სესხთამებრ . . | 144,216 | 73 | | |
| 2) მოკლე ვადიანთა სესხთამებრ. | 4,625 | 91 | 148 842 | 64 |
| ბ) ვადას გადაცილებული გადასახადი: | | | | |
| 1) ხანგრძლივთა სესხთამებრ . | 77,948 | 52 | | |
| 2) მოკლე ვადიანთა სესხთამებრ. | 2 199 | 13 | | |
| ჯარიმა მოვალეებზე . . . . . . | 6,113 | 46 | 86,261 | 11 |
| გირაოს ფურცელნი, მოსასპობლად შემოსულნი . . . . . . . . | — | — | 39,400 | — |
| ვადამდე დახურდავებული კუპონები . | — | — | 28,011 | — |
| საკომისიოდ მიღებული გირავნობის ფურცელნი . . . . . . . | — | — | 540 | — |
| სხვა-და-სხვა დებიტორები . . . . | — | — | 44,019 | 25 |
| დასაბრუნებელი ხარჯები . . . . | — | — | 77 313 | 52 |
| ხარჯები: ა) ბანკის მოწყობა-მორთულობასა და მართვა-გამგეობაზედ. | — | — | 1,522 | 78 |
| ბ) არა-ჩვეულებრივი . . . . | — | — | 2,547 | 23 |
| გერბის გარდასახადი . . . . . | — | — | 98 | — |
| ტალონები მოსასპობი გირავნ. ფურცელთა. | — | — | 189,000 | — |
| კუპონების ოცის წლის გირავნობის ფურცელთა . . . . . . | — | — | 10,317 | — |
| ბალანსი | — | — | 4·707,366 | 27 |

პასსივი

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| ძირეული თავნი . . . . . . . | | — | 549,344 | 50 |
| სათადარიგო თანხა . . . . . . | — | — | 63,207 | 29 |
| გირაოს ფურცელნი გამოსაცემნი: | | | | |
| ა) $43^1/_2$ წლიანი . . . . . . | 15,600 | — | | |
| ბ) $18^7/_{12}$ „ . . . . . . | 12,700 | — | 28,300 | — |
| გირაოს ფურცელნი, მსვლელობაში მყოფნი: | | | | |
| ა) $43^1/_2$ წლიანნი. . . . . . | 1,237,800 | — | | |
| ბ) $18^7/_{12}$ „ „ . . . . . . | 2,061,100 | — | 3,298·900 | — |
| თანხა სესხთა მოსასპობი: | | | | |
| ა) $43^1/_2$ წლიანი . . . . . | 5,646 | 77 | | |
| ბ) $18^7/_{12}$ „ „ | 71,641 | 95 | 77,288 | 72 |
| თანხა სარგებლისა: | | | | |
| ა) $43^1/_2$ წლიანი . . . . . . | 37,134 | — | | |
| ბ) $18^7/_{12}$ „ „ . . . . . . | 61,833 | — | 98 967 | — |
| მომავალი გადასახადი . . . . . | — | — | 16 | — |
| ფული გადადებული დსაზღვეველად: | | | | |
| ა) გირაოს ფურცელთა ტირაჟში გამოსულთა . . . . . . . | 88,100 | — | | |
| ბ) 1 იანვრის 1891 წლის ვადის გირაოს ფურცელთა კუპონები . 103,020<br>გ) წინანდელი ვადებისა . . 234 | 103.254 | — | 191,354 | — |
| ვადამდე მოსპობილნი სესხნი: | | | | |
| ა) ნაღდის ფულით. . . ($43^1/_2$ წ. $18^7/_{12}$ „) | — | — | 2,018 | 74 |
| ბ) გირაოს ფურცლებით. . ($43^1/_2$ წ. $18^7/_{12}$ „) | — | — | 39,400 | — |
| სარგებელი მოკლე ვადიანთა სესხთა . | 4 895 | 50 | | |
| ერთ-დროებითი შემოსატანი ფული . | 229 | 50 | | |
| ყოველ წლიური შემოსატანი ფული ბანკის ხარჯების დასაფარავად, საზოგადო საჭიროებათა თანხის შესადგენად და სხვა. . . . . | 21.328 | 50 | 26,453 | 50 |
| გადამავალი ჯამი . . . . . . | — | — | 5,318 | 71 |
| 5% სახელმწიფო ლალა. . . . | — | — | 1,378 | 20 |
| სარგებლიანი ქაღალდები კასსაში: | | | | |
| ა) შესანახავად . . . . . . | 21,700 | — | | |
| ბ) ბანკის სასაკუთრონი და სხვ. . | 79,500 | — | 101,200 | — |
| სხვა-და სხვა კრედიტორები . . . . | — | — | 4,123 | 71 |
| ცეცხლისაგან ზარალის საზღვევი გადასახადი . . . . . . . . . | — | — | 318 | 27 |
| გამოსაცვლელი კუპონის ფურცლები . | — | — | 10,317 | — |
| ძველი ტალონები მოსასპობ გირავნობის ფურცელთა . . . . . . . | — | — | 189,000 | — |
| წმინდა მოგება 1890 წლისა , . . | — | — | 20,460 | 63 |
| ბალანსი | — | — | 4,707,366 | 27 |

ბანკის გამგეობა

Тифлисъ, Доз. цен. 18-го Марта 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, на Лорисъ-Melик. ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.